

ძალაშია 1997 წლის 10 იანვრიდან

შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის შიდა ნაოსნობის

შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მონაწილე მხარეებად წოდებულნი,

ურთიერთშეთანხმებით, ნაოსნობის შემდგომი განვითარების სურვილით, ევროპაში უსაფრთხოებისა და ურთიერთთანამშრომლობის კონფერენციის საბოლოო აქტის, კერძოდ გრანსპორტის განვითარების შესახებ მისი დებულებების გათვალისწინებით

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე შეთანხმების შინაარსი შემდეგია:

ა) „ხომალდები“ ნიშნავს ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ოფიციალურად რეგისტრირებულ ხომალდებს, რომლებითაც შეიძლება მგზავრებისა და გვირთის გადაადგილება იქ, სადაც ისინი არიან რეგისტრირებულნი ამის შესახებ განსაკუთრებული ნებართვის გარეშე;

ბ) „ლიხტერი“ ნიშნავს ხომალდებს, რომლებიც მიეკუთვნებიან „ა“ ჯგუფს, არიან ამორტიზებული და ეკიპაჟის გარეშე;

გ) „სანაოსნო საწარმო“ ნიშნავს ნაოსნობით დასაქმებულ საწარმოს ან მეწარმეს, რომელთა საწარმოს ადგილსამყოფელი, ან საცხოვრებელი ადგილი მოთავსებულია შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე;

დ) „კომპეტენტური ორგანოები“ ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გრანსპორტის სამინისტროს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გრანსპორტის ფედერალურ სამინისტროს;

ე) „ნავსადგურები“ ნიშნავს ნავსადგურებს და ოფიციალურად ნებადართულ გადასაცემით პუნქტებს, აგრეთვე მისადგომებს სამგზავრო ხომალდებისათვის, შეთანხმების მონაწილე მხარეების სახელმწიფო ტერიტორიებზე.

მუხლი 2

1. ამ შეთანხმების 3-6 მუხლების დებულებების მიხედვით ერთი მონაწილე მხარის ქვეყნის ხომალდებს შეუძლიათ გამოიყენონ მეორე მონაწილე მხარის სანაოსნო გზები, ნავსადგურები და ოფიციალურად ნებადართული სადგომები. იგივე დებულებები ვრცელდება სხვა დანარჩენ სანაოსნო გრანსპორტზე, ჩვეულებრივ მცურავ ობიექტებზე (მაგ. ექსკავატორები, ამწეები), აგრეთვე ახალნაგებ ხომალდთა გადაადგილებაზე.

2. ნაოსნობა რეგულირდება შეთანხმების მონაწილე მხარის ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის სამდინარო გზებიც გამოიყენება.

მუხლი 3

1. საქართველოსა და გერმანიის ხომალდებს აქვთ მგზავრების გადაყვანის ან/და გვირთის გადაზიდვის უფლება, როგორც საქართველოს ნავსადგურსა და გერმანიის ნავსადგურს შორის და პირიქით (ორმხრივი მიმოსვლა).

2. ორმხრივი მიმოსვლის გათვალისწინებით, საქართველოსა და გერმანიის ხომალდებს უფლება აქვთ განახორციელონ მგზავრების გადაყვანა ან/და გვირთის გადაზიდვა თავის ტერიტორიაზე მდებარე ნავსადგურსა და მეორე მონაწილე მხარის შემდეგ ნავსადგურებს შორის და პირიქით:

ა) საზღვაო ნავსადგურები;

ბ) ნავმისადგომები, რომლებიც განლაგებულია უშუალოდ საზღვაო ნავსადგურისკენ მიმავალ გზებზე;

გ) ნავსადგურები, რომლებიც შერეული კომისიის მიერ დადგენილი კომპეტენტური ორგანოების მიერაა დასახელებული;

3. საქართველოსა და გერმანიის სანაოსნო საწარმოებმა, ორმხრივ მიმოსვლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პარიტეტულ საწყისებზე და შესაძლებლობის მიხედვით თანმიმდევრულად წლის განმავლობაში. საგვირთო გადაზიდვების განაწილება ხდება გადაზიდული გვირთის რაოდენობის საფუძველზე გონების მიხედვით.

4. ორმხრივი მიმოსვლისათვის საჭიროა ეკონომიკურად მართებული გარიჟების, გადასახადებისა და მათთან დაკავშირებული დამატებითი პირობების შეთანხმება.

5. თითოეულ მონაწილე მხარეს შეუძლია შერეულ კომისიასთან შეთანხმების შემდეგ, გამონაკლის შემთხვევებში გეგმიური მიზნების ან სანაოსნო უსაფრთხოების საფუძველზე, თავიანთი სანაოსნო გზის გამოყენებისათვის, ორმხრივი მიმოსვლის დროს სვლების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა.

6. სხვა და არა 1-ლი მუხლის ა) და ბ) პუნქტებში აღნიშნული ხომალდები დაშვებული იქნება საქართველოსა და გერმანიის ნავსადგურებს შორის ორმხრივ მიმოსვლაში მონაწილეობის მისაღებად ისე, როგორც ამას დაადგენს შერეული კომისია.

7. მესამე მხარის ხომალდების მონაწილეობა საქართველოსა და გერმანიის ნავსადგურებს შორის მიმოსვლაში ჩაითვლება დამქირავებელი მხარის ქვოგაში.

მუხლი 4

1. საქართველოსა და გერმანიის ხომალდებს შეუძლიათ მგზავრები გადაიყვანონ ან/და გვირთი გადაიგანონ მეორე მონაწილე მხარის გერიგორიალური სანაოსნო გზების გავლით, რაც მონაწილე მხარეების მიერ გადაწყდება შერეული კომისიის დადგენილებების საფუძველზე (გრანზიტული მიმოსვლა).

2. თითოეულ მონაწილე მხარეს შეუძლია შერეულ კომისიასთან შეთანხმების შემდეგ, გამონაკლის შემთხვევებში გეჟნიკური მიზნების ან სანაოსნო უსაფრთხოების საფუძველზე, თავიანთი სანაოსნო გზის გამოყენებისათვის, გრანზიტული მიმოსვლის დროს სვლების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა.

მუხლი 5

საქართველოსა და გერმანიის გემებს, შეუძლიათ გადაიყვანონ მგზავრები და/ან გადაიგანონ გვირთი მეორე მონაწილე მხარის ნონ გვირთი მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე მდებარე ნავსადგურიდან მესამე ქვეყნის ნავსადგურში (მიმოსვლა სამ ქვეყანას შორის) და პირიქით, მხოლოდ ყოველივე ეს შესაძლებელია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

მუხლი 6

მგზავრების გადაყვანა და/ან გვირთის გადაზიდვა ერთ-ერთი მხარის ნავსადგურებს შორის (კაბოგაჟი) წარმოადგენს ამ მხარის გემების უფლებას. გამონაკლისი დაიშვება კომპეტენტური ორგანოების მიერ სპეციალური ნებართვით.

მუხლი 7

1. ხომალდები მათი ეკიპაჟი, მგზავრები და გვირთი ექვემდებარება შეთანხმების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობას, რომლის შიდა სანაოსნო გზებიც იქნება გამოყენებული.

2. შიდა სანაოსნო გზებზე ნაოსნობისათვის, რაინის, მოზელისა და საზღვაო სანაოსნო გზების გარდა, ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ორგანოები, მეორე მონაწილე მხარის მიერ გაცემული სიგელებისა და მოწმობების წარდგენისას, რომლებიც ეხება ხომალდს, მის ეკიპაჟსა და გვირთს (მაგ. ხომალდის პატენტი და საკვალიფიკაციო მოწმობა), გასცემს თავის სახელმწიფო გერიგორიაზე გათვალისწინებულ სიგელებსა და მოწმობებს. ამასთან ერთ-ერთი მონაწილე მხარის გერიგორიაზე სიგელები და მოწმობები უნდა გაცეს ისეთ პირობებით, რომლებიც პასუხობენ მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე მოქმედ განაწესებს.

3. სახიფათო გვირთი შეიძლება მხოლოდ იმ გემებით გადაადგილდეს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი მოწმობა სათანადო სანაოსნო გზით სარგებლობისათვის.

მუხლი 8

თითოეული მონაწილე მხარე მეორე მონაწილე მხარის ხომალდებს შეუქმნის 2-6 მუხლებით მინიჭებული უფლებების ისეთივე გამოყენების პირობებს, როგორც თავისი მხარის ხომალდებს.

კერძოდ ეს ეხება:

- ა) სანავიგაციო და სანავსადგურო გადასახადების ამაღლებას;
- ბ) ნავსადგურების მოწყობილობების, ნავსაყუდელების, რაბების და სხვა საერთო სარგებლობის სანაოსნო მოწყობილობების გამოყენებას;
- გ) კომპეტენციური ორგანოების მიერ დოკუმენტების გაფორმებას;
- დ) საწვავითა და საპოხი მასალებით უზრუნველყოფას.

მუხლი 9

თითოეული მონაწილე მხარე უზრუნველყოფს მეორე მხარის ხომალდებთან ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორც თავისი მხარის ხომალდებთან, ეს ეხება ხომალდებზე არსებული სასურსათო და სახომალდო მარაგის საბაჟო გაფორმებას.

ანალოგიური დამოკიდებულებაა ხომალდების საჭიროებისათვის გათვალისწინებულ საწვავ და საპოხ მასალებთან.

მუხლი 10

1. საქართველოსა და გერმანიის სანაოსნო საწარმოებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გახსნას წარმომადგენლობები ან სააგენტოები თავისი მხარის ხომალდებისა და მათი ეკიპაჟების მომსახურებისათვის მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე, იქ მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად და კომპეტენციური ორგანოების ნებართვით.

2. საქართველოს და გერმანიის საწარმოებს, შეუძლიათ დადონ ურთიერთხელსაყრელი შეთანხმებები საექსპლუატაციო, ტექნიკურ და კომერციულ სფეროებში ერთობლივი მუშაობის შესახებ, გადაზიდვების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

მუხლი 11

თითოეული მონაწილე მხარე მეორე მონაწილე მხარის სანაოსნო საწარმოებს უფლებას აძლევს, რომ თავისუფლად გაიყვანონ საკუთარი შემოსავალი თავიანთი მხარის ტერიტორიაზე. გადაყვანა მოხდება ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით ჩვეულებრივი ვადების ფარგლებში.

მუხლი 12

1. საქართველოსა და გერმანიის ხომალდების ეკიპაჟის წევრებს, საზღვარზე გადასასვლელად ესაჭიროებათ ქვეყანაში ყოფნის ნებართვა (ვიზის სახით).

2. სამგზავრო და საგვირთო ხომალდებზე, ეკიპაჟის წევრებთან ერთად მგზავრობა შეუძლიათ აგრეთვე მათ მეუღლეებსა და დაუქორწინებელ მცირეწლოვან

შვილებს, თუ ისინი 1-ლ პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტში იქნებიან გაფორმებულნი. ბავშვები 16 წლამდე შეიძლება იყვნენ დასახელებულნი ერთ-ერთი მეუღლის პასპორტში.

3. საქართველოსა და გერმანიის ხომალდების ეკიპაჟის წევრებს ღუნაიზე საზღვრის გადაკვეთისას ან ხომალდის გემბანზე, აგრეთვე ღუნაის სანაპიროზე განლაგებულ ნავსადგურების ტერიტორიაზე ყოფნისას არ ესაჭიროებათ ვიზა, თუ მათ აქვთ ღუნაიზე ნაოსნობის მოწმობა ან მეზღვაურის პასპორტი და თუ ისინი შეყვანილნი არიან ეკიპაჟის სიაში. იგივე ეხება ეკიპაჟის წევრების ოჯახის წევრებს, რომლებიც შეყვანილნი არიან ღუნაიზე ნაოსნობის მოწმობაში ან მეზღვაურის პასპორტში.

4. ყველა ის პირები, რომლებიც მოხსენიებულნი არიან 1 და 2 პუნქტებში და იმყოფებიან გემბანზე აუცილებლად უნდა აღირიცხებოდნენ ეკიპაჟის სიაში.

5. ორივე მონაწილე მხარე ერთმანეთში ცვლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტების ნიმუშებს.

6. სამართლებრივი წესდება, ქვეყანაში შემოსვლისა და იქ ყოფნის შესახებ უცხოელთა მიმართ უცვლელია.

მუხლი 13

1. საქართველოსა და გერმანიის ხომალდებს შეუძლიათ დღე-ღამის განმავლობაში გაჩერდნენ შემდეგ ადგილებში:

- ა) დაგვირთვა-განგვირთვის ნავსადგურებში;
- ბ) სამგზავრო ტრასის ნავსადგურებში;
- გ) სამგზავრო მონაკვეთზე ნებადართულ ადგილებში.

2. ავარიის, უბედურების გემბანზე მყოფი რომელიმე წევრის მძიმე ავადმყოფის ან სხვა მიზეზით გამოწვეული შემთხვევების დროს, როდესაც შეუძლებელი ხდება მგზავრობის გაგრძელება, ხომალდებს შეუძლიათ გაჩერდნენ შესაფერის ადგილებში. ასეთ შემთხვევებში გემის კაპიტანმა, ან ერთ-ერთმა ნდობით აღჭურვილმა პირმა, ამის შესახებ აუცილებლად, სასწრაფოდ უნდა შეატყობინოს ახლო მდებარე სასაზღვრო, საბაჟო ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.

3. ორივე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოები მეორე მხარის ხომალდების ავარიის ან უბედურების შემთხვევაში, აგრეთვე ეკიპაჟის წევრების უბედურების შემთხვევაში, აღმოუჩენენ სასწრაფო დახმარებას შესაბამის მხარეს.

მძიმე ავარიების ან უბედური შემთხვევების დროს, ის მონაწილე მხარე, რომლის ტერიტორიაზედაც მოხდა შემთხვევა, სასწრაფოდ აცნობებს დაზარალებულ მხარეს ამის შესახებ, ხოლო თუ დაიწყება მომხდარი შემთხვევის გარემოებების შემსწავლელი გამოძიება, აცნობებს დაზარალებულ მხარეს ამ გამოძიების შედეგებს.

მუხლი 14

1. ამ შეთანხმების შესრულებისა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობის მიზნით შეიქმნება შერეული კომისია. მასში თითოეულ მონაწილე მხრიდან, შევა სამ-სამი ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებიც შესაბამისად დაინიშნებიან საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტრანსპორტის ფედერალური სამინისტროს მიერ.

2. საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან შერეულ კომისიაში შევა გრანსპორტის სამინისტროს ერთი წარმომადგენელი, როგორც დელეგაციის მეთაური და თითო-თითო წარმომადგენელი სანაოსნო საწარმოებისა და გვირთმფლობელებისაგან.

3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან შერეულ კომისიაში შევა გრანსპორტის ფედერალური სამინისტროს ერთი წარმომადგენელი, როგორც დელეგაციის მეთაური და თითო-თითო წარმომადგენელი სანაოსნო საწარმოებისა და გვირთმფლობელებისაგან.

4. ცალკეული საკითხების დასამუშავებლად, თითოეულ მხარეს შეუძლია მოიშველიოს ექსპერტები.

5. შერეული კომისია თავის პირველ სხდომაზე, შეიმუშავებს და დაადგენს თავისი საქმიანობის განაწესს.

6. შერეულ კომისიას განსაკუთრებით ევალება:

ა) მისცეს წინადადებები კომპეტენტურ ორგანოებს შემდეგი საკითხების მოსაგვარებლად:

- სამდინარო პორტების დანიშვნის შესახებ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

- მინიმალური და მაქსიმალური სატარიფო გადასახადების დანიშვნისა და მასთან დაკავშირებულ დამატებით საკითხებზე, მე-3 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად,

- წინამდებარე შეთანხმების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით სატრანზიტო გზის დადგენა,

- ხომალდებისათვის მესამე ქვეყნიდან, ორმხრივ მიმოსვლაზე ნების დართვის შესახებ,

- წინამდებარე შეთანხმების შესათავსებლად შინა ნაოსნობის მგზავრობის განვითარებასთან;

ბ) საქართველოსა და გერმანიის სანაოსნო საწარმოების გვირთი, საჭიროების შემთხვევაში, გაგებულ უნდა იქნეს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით და საჭიროებს მეთვალყურეობას;

გ) კონსულტაციის ჩატარება- მგზავრობათა მაქსიმალურ რაოდენობათა შესახებ ორმხრივ მიმოსვლაში მე-3 მუხლის 5 პუნქტის და ტრანზიტულ მიმოსვლაში მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

დ) საქართველოსა და გერმანიის ხომალდების გრანსპორტირება, სტატისტიკურად აღირიცხოს.

7. მე-5 პუნქტის წინადადების საფუძველზე, გადაწყვეტილებები მიიღება დელეგაციის მეთაურის მიერ შერეულ კომისიაში განაცხადის თანახმად.

დელეგაციის მეთაურის განცხადება ფორმდება მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების სახელით. განცხადებები უნდა გაფორმდეს შესაძლებლობის მიხედვით – ორი კვირის განმავლობაში შერეული კომისიის წინადადების წარმოდგენის შემდეგ.

8. მინიმალური და მაქსიმალური სატარიფო გადასახადები და მასთან

დაკავშირებული დამატებით საკითხები თანხმდება შერეულ კომისიასთან, საჭიროების შემთხვევაში, ეს შეთანხმება წარედგინება კომპეტენტურ ორგანოებს, მისი ძალაში შესვლის შესახებ მორიგდება ორივე მხარე. ძალაში შესვლა ქვეყნის საკუთარი სამართლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ ეცნობება რომელიმე შემთხმებელ მხარეს.

9. თუ შეთანხმება შერეულ კომისიაში არ იქნა მიღწეული, ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოთხოვნით, ორივე მხარის კომპეტენტურ ორგანოთა წარმომადგენლები, ოთხი კვირის განმავლობაში, იკრიბებიან საკონსულტაციოდ.

10. კომპეტენტური ორგანოები, მოთხოვნის საფუძველზე შერეულ კომისიას გადასცემს იმ დოკუმენტაციას, რომელიც მას თავისი დავალებების შესასრულებლად სჭირდება.

მუხლი 15

საქართველოსა და გერმანიის სპორტულ გემებს შეუძლიათ, ამ ქვეყნების შიდა სანაოსნო გზები გამოიყენონ შესაბამის მხარეში მოქმედი კანონების შესაბამისად.

მუხლი 16

1. წინამდებარე შეთანხმების მოქმედების ვადა განუსაზღვრელია.

2. ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ დღიდან, იმ დღის სამი თვის გასვლის შემდეგ, როდესაც მონაწილე მხარეები ერთმანეთს შეაგყობინებენ, რომ შესრულებულია შიდასახელმწიფოებრივი ფორმალობები წინამდებარე შეთანხმებების ძალაში შესასვლელად.

3. თითოეულ მონაწილე მხარეს შეუძლია ეს შეთანხმება ექვსი თვის განმავლობაში, კალენდარული წლის ბოლომდე ოფიციალურად, წერილობითი ფორმით, გააუქმოს. ამ შემთხვევაში იგი ამ წლის გასვლასთან ერთად ძალადაკარგულად ითვლება.

შესრულებულია ქ. ბონში 1993 წლის 25 ივნისს ქართულ და გერმანულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის მთავრობის
სახელით